
Honda Accord



ხელშეკრულება

საპროექტო სამუშაოების შესრულებაზე

ქ. თბილისი 5 ივლისი 2011 წ.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრ "ნაკრესი"-ს გამგეობის თავჯდომარე ბატონი ირაკლი შავგულიძე შემდგომში "დამკვეთად" წოდებული და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ლაინკუბი", მისი დირექტორის ბატონ ლაშა აბრამიძის სახით, შემდგომში "შემსრულებელად" წოდებული ვმოქმედებთ რა წესდების შესაბამისად, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "შემსრულებელი" ვალდებულებას იღებს მოამზადოს ვაშლოვანის ეროვნულ პარკში მდებარე მრავალფუნქციური სადგურის სრული საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, საქართველოში მოქმედი ნორმების, წესების, მოთხოვნილებათა შესაბამისად და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და წესების დაცვით.

2. საპროექტო სამუშაოების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 900.0 (ცხრაასი) ლარს.

2.2 "დამკვეთი" ვალდებულია საპროექტო სამუშაოების დაწყებისათვის "შემსრულებელს" გადაუხადოს, სახელშეკრულებო თანხის 50% – 450.0 (ოთხასორმოცდაათი) ლარი ავანსის სახით.

2.3 "დამკვეთსა" და "შემსრულებელს" შორის საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება საპროექტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს

2011 წლის 10 აგვისტომდე.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 “შემსრულებელი” ვალდებულია:

4.1.1 ჩააბაროს “დამკვეთს” ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაცია დასრულებული სახით 2011 წლის 30 ივლისამდე.

4.1.2. საპროექტო დოკუმენტაცია ან მისი ნებისმიერი ნაწილი არ გადასცეს/გაავრცელოს მესამე მხარეს “დამკვეთთან” წერილობითი შეთანხმების გარეშე.

4.1.3. საკუთარი სახსრებით მოახდინოს პროექტის კორექტირება ექსპერტიზის შენიშვნების გათვალისწინებით.

4.2. “დამკვეთი” ვალდებულია:

4.2.1 გადაუხადოს “შემსრულებელს” ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავანსო თანხა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

4.2.2 “დამკვეთი” ვალდებულია საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში დროულად მიაწოდოს შემსრულებლის მიერ მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია.

4.2.3 “დამკვეთი” ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წინასწარ აცნობოს შემსრულებელს.

4.2.4 “დამკვეთი” უფლებამოსილია ჩაატაროს პროექტის ექსპერტიზა.

## 5. დავათა განხილვა

5.1. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

5.2 ხელშეკრულებით წარმოქმნილი ურთიერთობები და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა რეგულირდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივი გაუქმება ყოვლად დაუშვებელია გარდა “დამკვეთის” მიერ მხოლოდ იმ შემთხვევისა, როდესაც შემსრულებელი არღვევს ხელშეკრულების ძირითად პირობებს და “შემსრულებლის” მიერ, თუ “დამკვეთს” არ გააჩნია ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები. აგრეთვე მხარეები

თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან, მხოლოდ ფორს-მაჟორული ვითარების წარმოქმნისას, ამგვარი მდგომარეობის არსებობის ვადით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

## 6 დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6.2 ხელშეკრულება შეიძლება გაუქმებული იქნეს, როგორც ერთი ისე მეორე მხარის მიერ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულდება მიმდინარე ვალდებულებები.

6.3 ყველა სხვა საკითხი, რომელიც არ არის ასახული წინამდებარე ხელშეკრულებაში, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4 იურიდიული მისამართისა ან/და საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან 3 დღის ვადაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

6.5 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე 2 (ორი ) ეგზემპლარად. ხელშეკრულების ორივე ეგზეპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

## 7. მხარეთა რეკვიზიტები

| "დამკვეთი" | "შემსრულებელი" |
|---|---|
| ხახეობათა კონსერვაციის ს/კ ცენტრი „ნაკრესი" | შ.პ.ს "ლაინკუბი" |
| თბილისი 0179, ლარსის შესახვევი 7, | მის. ქ. თბილისი, რ. მარგიანის ქ. №8 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 204866500 | საიდენტიფიკაციო კოდი 400018921 |
| საბანკო ანგარიში: | ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა" |
| GE36 TB06 0000 0001 17008 05 | BIC კოდი REPLGE22 |
| | ა/ა GE74 BR00 0001 0397 5576 12 |

„ნაკრესის" გამგეობის თავმჯდომარე: ________ /ი. [illegible]ევგულიძე/

შ.პ.ს. "ლაინკუბი"-ს დირექტორი: ________ /ლ. აბრამიძე/

# მიღება-ჩაბარების

# აქტი

ქ. თბილისი 11 ივლისი 2011 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ: სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი"-ს გამგეობის თავჯდომარე ბატონი, ირაკლი შავგულიძე (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ლაინკუბი", მისი დირექტორის ბატონ, ლაშა აბრამიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი") ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის 2011 წლის 5 ივლისს დადებული ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელმა ჩააბარა, ხოლო დამკვეთმა მიიღო, ხელშეკრეულებით გათვალისწინებული სამუშაოს საბოლოო პროდუქტი, კერძოდ:

1. ვაშლოვანის ეროვნულ პარკში მდებარე მრავალფუნქციური სადგურის სრული საპროექტო ნახაზების ალბომი 3 ( სამი ) ეგზემპლიარი.

2. ვაშლოვანის ეროვნულ პარკში მდებარე მრავალფუნქციური სადგურის სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 3 ( სამი ) ეგზემპლიარი.

3. ვაშლოვანის ეროვნულ პარკში მდებარე მრავალფუნქციური სადგურის სრული საპროექტო ნახაზების ალბომის და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია.

დამკვეთის სახელით

~~ირაკლი შავგულიძე~~, გამგეობის თავჯდომარე

შემსრულებელი

ლაშა აბრამიძე შ.პ.ს „ლაინკუბი"-ს დირექტორი